

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 67 (1393) ○ კვირა, 7 ივნისი, 1959 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

## დამტკიცებულია სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგია

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს სსრ მეორე სპარტაკიადის მსაჯთა მთავარი კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ვ. სამსონაძე (სპარტაკიადის მთავარი მსაჯი), შ. ახვლედიანი (მთავარი მსაჯის მოადგილე), მ. ცხვედაძე (მთ. მსაჯის მოადგილე), თ. მაჩაბელი (მთ. მსაჯის მოადგილე), ზ. თელია (მთ. მსაჯის მოადგილე), ნ. ცნობილაძე (მთავარი. მდივანი).

დამტკიცებულია აგრეთვე მთავარი მსაჯები სპორტის ცალკეულ სახეობებში: ე. აბაიშვილი (კალათბურთი), თ. ფურცელაძე (კრივი), ლ. კაპიტანოვი (თავისუფალი ჭიდაობა), გ. ვარძელაშვილი (კლასიკური ჭიდაობა), ს. მაისურაძე (ქართული ჭიდაობა), ს. ნათაძე (ველო), ე. სანთელაძე (ფრენბურთი), გ. მამარდაშვილი (ტანვარჯიში), კ. რევია (ნიჩბოსნობა), მ. ჭავჭავაძე (ცხენოსნობა), დ. მიქაბერიძე (მძლეოსნობა), ვ. ნანეიშვილი (მოტოსპორტი), დ. ზალდასტანიშვილი (თანამედ. ხუთჭიდი), გ. ლომთაძე (ტყვიით სროლა), ვ. ცინცაძე (სასტენდო სროლა), ვ. დიდიძე (ჩოგბურთი), თ. ლოლაძე (მაგიდის ჩოგბურთი), გ. ჩიკვაიძე (ძალოსნობა), ა. მეიფარიანი (ფარიკაობა), ვ. შავდია (ფეხბურთი), ა. გოიაშვილი (წყალბურთი), თ. იორდანიშვილი (ცურვა), გ. მაზუროვი (წყალში ხტომა) და ვ. გოგლიძე (ჭადრაკი).





XIV ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ბლაგიძე და ბუსლაევი. 113 სვლა გაკეთდა ვეტოხინ-ბრეიტმანის პარტიაში, რომელიც ლაზიერთა დაბოლოებაში იყო შეწყვეტილი. ვეტოხინმა მეთოდურად აამოძრავა თავის ერთადერთი პაიკი და გამარჯვებას მიაღწია. ბრეიტმანმა მეორე დამარცხება განიცადა ჯანოევთან პარტიაში ყაიმით დამთავრდა მეგრელიშვილ-ჯანოევის შეხვედრა. ჰანტურიამ, რომელსაც თურქესტანიშვილის წინააღმდეგ ზედმეტი ხარისხი ჰქონდა, სანიმუშოდ ჩაატარა პარტიის ტექნიკური ნაწილი და გაიმარჯვა. ორი პარტია დაამთავრა გამრეკელმა. წერეთელმა მას მოულოდნელად „დაუსვა“ ლაზიერი საყაიმო პოზიციაში და წააგო პარტია, ხოლო მაჭავარიანმა თავგანწირული წინააღმდეგობით ყაიმს მიაღწია. გიორგაძე დამარცხდა გურგენიძესთან და მოუგო იზვოზჩიკოვს. ლომაიამ გაიმარჯვა დემურიასთან, ხოლო გურგენიძემ ჰანტურიასთან. სულ ხუთიოდე სვლა გაკეთდა იზვოზჩიკოვ-გაფრინდაშვილის პარტიაში, რომელიც ზავით დამთავრდა.

XV ტურში საერთო ყურადღება მიიქცია გაფრინდაშვილ-გურგენიძის შეხვედრამ. თამაში დაიწყო სიცილიური დაცვის იმ ვარიანტით, რომლითაც გურგენიძე წარმატებით იბრძოდა გროსმაისტერების წინააღმდეგ. სადებიუტო სვლების შემდეგ გაფრინდაშვილმა მოულოდნელად განახორციელა კუს მახვილგონივრული შეწირვა, რომლის იდეა მსგავს პოზიციაში ეკუთვნის 16 წლის ამერიკელ გროსმაისტერ ფიშერს. კომბინაცია გაფრინდაშვილს აძლევდა ყაიმს ან რთულ თამაშს, ამიტომ იგი პირველ შეხვედრაში ოსტატ ვაჟთან ყაიმით დაკმაყოფილდა. აი ეს პარტიაც.

**ნ. გაფრინდაშვილი— ბ. გურგენიძე**

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. მc3 კg7 6. კe3 მf6 7. კc4 0—0 8. კb3 d6 9. f3 მa5 10. 0—0 მd7 11. კ:f7+! ე:f7 (თუ 11 ... მფ:f7, მაშინ 12. ძe6!! მოგებით) 12. მe6 ლe8 13. მc7 ლd8 14. მe6 (თუ 14. მ:a8, მაშინ 14. ... b6 რთული თამაშით) 14. ... ლe8 ყაიმი.

ბლაგიძემ ენერგიული თამაშით საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა ბრეიტმანთან. პარტია თუმცა გადაიდო, მაგრამ მეორე დღეს აფხაზეთის ჩემპიონი დანებდა. შიშოვმა მოუგო წერეთელს, ხოლო გამრეკელმა — მეგრელიშვილს. ყაიმით დამთავრდა ვეტოხინ-დემურიას, ჰანტურია-ბუსლაევისა და თურქესტანიშვილ - იზვოზჩიკოვის შეხვედრები. ორი პარტია გადადებულია.

XVI ტურში ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ გურგენიძე-თურქესტანიშვილი და ვეტოხინ-ჯანოევი. მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა ბუსლაევ-გაფრინდაშვილის შეხვედრა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შიშოვმა დაამარცხა მეგრელიშვილი, გიორგაძემ — ბრეიტმანი, წერეთელმა — ბლაგიძე.

XVI ტურის შემდეგ გურგენიძეს 13 ქულა აქვს, ბუსლაევსა და შიშოვს — 10,5 ქულა თვითეულს, გიორგაძეს, გამრეკელს, ჯანოევს— 9 ქულა და თითო გადადებული პარტია, ვეტოხინს — 9 ქულა, მაჭავარიანს — 8 ქულა და ორი გადადებული პარტია, ბლაგიძეს — 8 ქულა, გაფრინდაშვილს — 7,5 ქულა.

* * *

**სურათზე:** ნ. გაფრინდაშვილ-ბ. გურგენიძის თამაშის მომენტი.

ფოტო ო. იუნაევისა.

## მეოთხედ

3 ივნისს შტუტჰარტში (გფრ) შედგა ფინალური მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თასის სამგზის მფლობელი „რეალი“ (ესპანეთი) და „რეიმსი“ (საფრანგეთი).

მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში „რეალის“ უპირატესობით და დამთავრდა მისივე გამარჯვებით — 2:0. პირველი ბურთი გატანილ იქნა ტაიმის დასაწყისში მატეოსის მიერ, ხოლო მეორე — მაშინვე, შესვენების შემდეგ დი სტეფანოს მიერ. ორივე ბურთი მოხვდა ძელს და ისე გავიდა კარში, ამიტომ ფრანგების მეკარე კოლონასათვის მათი აღება დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, თუმცა მან მაინც გამოიჩინა თავი და მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

„რეალმა“ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო ზედიზედ მეოთხედ.

## „რეიმსი“ ითამაშებს თბილისში

23 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგება უაღრესად საინტერესო საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თბილისის „დინამო“ შეხვდება საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალისტს „რეიმსს“.

„რეიმსის“ შემადგენლობაში თამაშობენ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრები ფონტენი, პიანტონი, ჟონკე, ვენსანი და სხვანი.

## „დინამო“ იუგოსლავიაში

მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა მეორე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა იუგოსლავიაში. მოსკოველები ზაგრებში შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს“.

შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა გუნდის გამარჯვებით — 4:2.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 7 | 6 | 1 | 0 | 15:4 | 13 |
| სკვო | 7 | 3 | 3 | 1 | 14:9 | 9 |
| „ზენიტი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 11:9 | 9 |
| „მოლდოვა“ | 8 | 3 | 3 | 2 | 9:12 | 9 |
| „ლოკომოტივი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 12:7 | 8 |
| ცსკ მო | 7 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| „ტორპედო“ | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| „სპარტაკი“ | 7 | 1 | 4 | 2 | 7:6 | 6 |
| „დინამო“ თბ. | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 7 | 2 | 1 | 4 | 10:11 | 5 |
| „შახტიორი“ | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 4 |
| „დინამო“ კ. | 7 | 0 | 2 | 5 | 7:17 | 2 |

* * *

**კიშინიოვი.** 6 ივნისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „მოლდოვამ“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „დინამო“.

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 2:0.



## უძლიერესთა მონაწილეობით

თბილისში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ს. ანდრეევი, სპორტის ოსტატები ს. მირზა, ვ. ნიკიტინი, ვ. ბალახნენკოვი, ვ. ფილიპოვა, რ. კირსანოვა (ყველა მოსკოვიდან), ვ. ტროშკინა, ვ. ანისიმოვი (როსტოვი). ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სახელს იცავენ გ. ღარიბაშვილი, ლ. და ნ. მძინარიშვილები, ი. რიაზანოვა, ა. ვერულავა და სხვ. ვაჟთა შორის 4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ს. ანდრეევი და გ. ღარიბაშვილი, რომლებსაც 4-4 გამარჯვება აქვთ. მეორე ჯგუფში წინ არიან როსტოველი სპორტის ოსტატი ვ. ანისიმოვი და ს. მირზა (მოსკოვი).

აღსანიშნავია, რომ ს. ანდრეევმა და გ. ღარიბაშვილმა წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ გადამწყვეტ პარტიებში. სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. მძინარიშვილთან შეხვედრისას მხოლოდ მეხუთე პარტიაში შეძლო გამარჯვების მოპოვება, ხოლო ღარიბაშვილმა 15 წლის ნ. მძინარიშვილთან ასევე მეხუთე პარტიაში მოიგო შეხვედრა.

ქალთა შორის თბილისელმა ი. რიაზანოვამ დაამარცხა როსტოველი ვ. ტროშკინა — 7/5, 6/0, ხოლო ვ. ფილიპოვამ თავისი თანაგუნდელი რ. კირსანოვა — 7/5, 6/1. აღსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრაში გამარჯვებულები აგებდნენ და მთელი ძალების მობილიზება დასჭირდათ, რათა წარმატებისათვის მიეღწიათ. მეორე ჯგუფში დაწინაურდა მოსკოველი მ. გუბინა.

შერეულ წყვილთა შორის საინტერესო იყო ნახევარფინალური შეხვედრა ი. რიაზანოვა-ა. ვერულავას და მ. გუბინა-ს. ანდრეევს შორის. მატჩი დამთავრდა პირველთა გამარჯვებით 7:5, 6:2. ვ. ფილიპოვა-ს. მირზამ დაამარცხეს ვ. ტროშკინა-ანისიმოვი.

**სურათზე:** უძლიერესთა შეჯიბრების მონაწილე ო. ჭარხალაშვილი.

# მოსწავლეთა სპარტაკიადა

## მძლეოსნობა

დაძაბულობამ ზღვარს მიაღწია, როცა 200 მეტრზე რბენის მონაწილეები ფინიშის ხაზზე გამოვიდნენ. უკანასკნელ მეტრებზე დაწინაურდა თბილისელი ა. სობაკინი. მისი თანაგუნდელი ე. ზემლიანოი და ზუგდიდელი ლ. გეთია გამარჯვებულს სულ მცირე მანძილით ჩამორჩნენ. სობაკინის მიერ ნაჩვენები შედეგი — 23,1, თუ მხედველობაში მივიღებთ სარბენი ბილიკის სისველეს, იმედის მომცემია. 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილები გაინაღდა ქუთაისელმა ვ. ლანჩავამ.

მეტად სახიფათო მეტოქეები გამოუჩნდნენ თბილისელ მოსწავლე გოგონას ე. ბულანოვას 200 მეტრზე რბენაში. მას მთელ დისტანციაზე მხარდამხარ მისდევდნენ ვ. ოვსეპიანი (რუსთავი) და მ. პაპიაშვილი (ქუთაისი). მხოლოდ ფინიშის კარგმა ტექნიკამ მისცა საშუალება ბულანოვას პირველი შეხებოდა ლენტს. მისი დრო 27,1 წამი. მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩნენ ოვსეპიანი და პაპიაშვილი. რიცხვმრავალი გამოდგა 800 მეტრზე რბენა ჭაბუკებისათვის. ძნელი გამარჯვება ხვდა წილად ვ. ზიკოვს (აფხაზეთი). შუბის ტყორცნაში ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვა თბილისელმა ნ. მგელაძემ (55,27 მეტრი). მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისელი ო. ცხადაძე (53,86 მ).

გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ჭაბუკებიდან ცხრამ 6-მეტრიან ზღვარს გადააჭარბა. საუკეთესო შედეგი ჰქონდა თბილისელ ვ. ელენინს (6,44 მ) და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელს რ. გაბარაევს (6,39 მ).

კიდევ ერთხელ ისახელა თავი ქუთაისელმა რ. ავალიანმა (მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი), რომელმაც ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი გაინაღდა თბილისელ ვ. ტერეშჩენკოსთან დაძაბულ ბრძოლაში. ავალიანი 5 სახეობიდან 4-ში პირველი ადგილის მფლობელი გახდა (სიგრძეზე ხტომა 6,34 მ, შუბის ტყორცნა 48,9 მ, ბადროს ტყორცნა 33,1 მ და 200 მეტრზე რბენა 24,6) და ხუთჭიდის ჯამში მოაგროვა 2385 ქულა. სამწუხაროდ, უამინდობამ საშუალება არ მისცა ნიჭიერ სპორტსმენს რესპუბლიკის რეკორდი დაემყარებინა.

ოთხდღიანი შეჯიბრების შედეგად პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი წილად ხვდა თბილისის გუნდს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ჭაბუკებში — ქუთაისი, აფხაზეთი, აჭარა. გოგონებში — აჭარა, ქუთაისი, აფხაზეთი.

მეორე ჯგუფის გუნდებიდან პირველობა დაისაკუთრეს ზუგდიდელებმა, მეორე ადგილზეა ონი, მესამეზე — სამტრედიის გუნდი.

◆

## ცურვა

ფინალურ გაცურვებში თავი მოიყარეს საუკეთესოებმა. შეჯიბრების უკანასკნელი სახეობანი თბილისელთა აშკარა უპირატესობით ჩატარდა.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გოგონათა შორის ოთხივე მონაწილე თბილისის 1 გუნდიდან იყო. თავიდან აღებული მაღალი ტემპი ლ. ბერძენიშვილმა და ი. ამნიაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნეს. ძლიერმა ფინიშმა ამნიაშვილს საშუალება მისცა დაეკავებინა პირველი ადგილი მოზრდილთა მეორე თანრიგის შედეგით — 6.12,0. ეს ნორჩი მოცურავის მეორე გამარჯვებაა მიმდინარე სპარტაკიადაზე.

ამავე დისტანციაზე ჭაბუკთა შორის თბილისელ ვ. თოფურიასა და სოხუმელ ვ. ბულანოვის ბრძოლა დამთავრდა უკანასკნელის გამარჯვებით 5.32,7.

100 მეტრზე ზურგზე მოცურავე გოგონათა შორის ფინალში სამი თბილისელი მოხვდა, მათგან უძლიერესი იყო ა. მორგუნენკო (1.28,5). ამავე დისტანციაზე ჭაბუკთა შორის ოთხივე ბილიკი ისევ თბილისელებმა დაიკავეს. ე. ხიმჩიანთან თანაბარ ბრძოლაში ძნელ გამარჯვებას მიაღწია ბ. ლექავამ — 1.11,4.

მოცურავეთა თავისებური „მარათონი" — 1500 მეტრი დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს. ამ დატვირთვის მისაღებად უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ ვ. ბულანოვი (აფხაზეთი) და ვ. გეფტლერი (თბილისი). ვ. ბულანოვმა 22 წუთსა და 15 წამში დაამთავრა დისტანცია და 12 წამით გაასწრო თბილისელს. საინტერესო გამოდგა კომბინირებული ესტაფეტა 4X100 მეტრზე გოგონებისა და ჭაბუკებისათვის. გოგონათა შორის გამარჯვებული გამოვიდა თბილისის პირველი გუნდი (ა. მორგუნენკო, ლ. კრილოვა, ი. ჩუგუევსკაია, ი. ამნიაშვილი). მეორე ადგილი თბილისის მეორე გუნდმა მოიპოვა, ხოლო მესამე — აფხაზეთმა. ამავე თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები ჭაბუკთა შორის. გამარჯვებულმა გუნდმა (ე. ხიმჩიანი, ს. პოსტოლოვი, ბ. ლექავა და ა. კალმიკოვი) საკმაოდ მაღალ შედეგს მიაღწია — 4.58,6.

◆

## ტანვარჯიში

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს წინა წლებთან შედარებით. პირველ ჯგუფში ბრძოლა გამარჯვებისათვის ძირითადად მიმდინარეობდა თბილისისა და ქუთაისის ტანმოვარჯიშეთა შორის. საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვა თბილისის II გუნდმა. მეორე ადგილზეა I გუნდი, ხოლო მესამეზე — ქუთაისელთა კოლექტივი. მეორე ჯგუფში მონაწილე 12 გუნდს შორის საუკეთესო იყო გორის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი.

აღსანიშნავია ფოთის, ახალციხის, მახარაძის, თელავის, ონის, დუშეთისა და სხვა გუნდების არასათანადო მომზადება. ხოლო რაც შეეხება ხაშურის რაიონს, აქედან შეჯიბრებაზე არ ჩამოსულა არც ერთი ტანმოვარჯიშე.

ბრძოლა პირადი პირველობისათვის ოსტატ გოგონათა შორის გაიმართა მ. ნინოშვილსა და ქუთაისელ ა. ბენიძეს შორის. ბენიძემ ჩინებულად შეასრულა სავალდებულო პროგრამა და თავის ძლიერ მეტოქეს გაუსწრო 0,5 ქულით (36,85 ქულა). ნებისმიერი პროგრამის შესრულებისას ქუთაისელ გოგონას „უმტყუნა" ნაირსიმაღლის ორძელმა, სადაც მან მხოლოდ 8,65 ქულა მიიღო. მართალია, ა. ბენიძის საბოლოო შედეგი — 73,25 ქულა აღემატება სპორტის ოსტატისათვის საჭირო ნორმას, მაგრამ საბოლოოდ იგი მეორე ადგილზე დარჩა. გამარჯვება მოიპოვა მ. ნინოშვილმა — 74,1 ქულ. ცალკეულ იარაღებზე უძლიერესი კვლავ ეს ორი გოგონა იყო: ნინოშვილმა გაიმარჯვა თავისუფალ ვარჯიშსა და ნაირსიმაღლის ორძელზე, ხოლო ბენიძემ — ბჯენით ხტომასა და წონასწორობაში.

ჭაბუკთა შორის ოსტატთა პროგრამით პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა მ. ბოგუსმა — 106,75 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ნ. ფალავანდიშვილი (თბილისი) და ვ. სოლომანსკი (ქუთაისი). შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოვიდა წინა სპარტაკიადის ჩემპიონი გ. გრომოვი, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა—108,75 ქულა. აღსანიშნავია, რომ სპორტის ოსტატის მაჩვენებელი აქვს ა. მარიამიძესაც.

## [illegible]

[illegible] შეჯიბრებამ [illegible] ჩოგბურთ- [illegible] სპორტსმენთა ტექნიკური პროგრესი. შეჯიბრებაში მონაწილეობს ჭაბუკთა 16 და გოგონათა 15 გუნდი. აქ პირველად გამოდიან ზუგდიდის, ახალქალაქისა და ახმეტის გუნდები, ხოლო ლაგოდეხის გუნდმა, რატომღაც, თავი აარიდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების ძალები საკმაოდ გაუთანაბრდა ერთმანეთს, ხოლო თბილისის მეორე გუნდი, რომელიც შედარებით მცირეწლოვანებისაგან შედგება, არა თუ წამოეწია პირველ გუნდს, არამედ მასზე გამარჯვების რეალური შესაძლებლობაც ჰქონდა. აი მაგალითად, თუ ამ გუნდების შეხვედრისას ვ. ჩიჩუამ ადვილად დაამარცხა ო. დანიელოვი და თბილისის პირველ გუნდს 1 ქულა შესძინა, შემდეგში უპირატესობა მთლიანად მეორე გუნდის მხარეზე გადავიდა და „უფროსებს" მთელი ენერგიის დახარჯვა მოუხდათ, რომ თამაშში გარდატეხა შეეტანათ. ეს მოხდა მხოლოდ მესამე წრის დასასრულს, როცა ო. დარჯანიამ ძნელ გამარჯვებას მიაღწია ზ. კიკალეიშვილთან — 2:1. გუნდური ანგარიში გათანაბრდა — 5:5 და შეხვედრის ბედი რ. აჯიაშვილისა და ტ. კოსინკინის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. უაღრესად საინტერესო ბრძოლა დამთავრდა უფრო გამოცდილი რ. აჯიაშვილის გამარჯვებით, რამაც თბილისის პირველ გუნდს გამარჯვება მოუტანა. იმავე დღეს აფხაზეთმა დაამარცხა ქუთაისი (6:3), ხოლო აჭარამ სამხრეთ ოსეთი (6:4).

პირველი ჯგუფის გოგონებიდან თბილისის პირველმა გუნდმა ანგარიშით 6:0 დაამარცხა ქუთაისელთა კოლექტივი, რის შემდეგ მორიგი გამარჯვება თბილისის მეორე გუნდზე მოიპოვა — 6:2. სამხრეთ ოსეთმა დაამარცხა აჭარა — 6:2, ხოლო ამ უკანასკნელმა აფხაზეთი — 6:1.

◆

## [illegible]

დამთავრდა გათამაშება ქვეჯგუფებში. პირველ ქვეჯგუფში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: აჭარა, თბილისი I, აფხაზეთი (თბილისი II გუნდი მონაწილეობდა კონკურსგარეშე). მეორე ქვეჯგუფში — სამხრეთ ოსეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, რუსთავი.

ამრიგად, ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდება პირველი 4 ადგილი, მონაწილეობას მიიღებენ აჭარის, თბილისის I, სამხრეთ ოსეთისა და ზუგდიდის გუნდები.

**გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.**

---

# გვატყობინებენ თელავიდან, ბორჯომიდან, ტყიბულიდან...

### სარბიელზე. სასროლეთზე. გზატკეცილზე...

ასეთი სპორტული დღესასწაული ჯერ არ ახსოვთ ბორჯომში. ცუდი ამინდის მიუხედავად შეხვედრები ზონალური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ფრენბურთში მაღალ დონეზე ჩატარდა და დამსწრეთა ინტერესი გამოიწვია.

ქალაქის საჭიდაო სარბიელზე, ორ დღეს გრძელდებოდა შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში. თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაიმართა კასპის, ხაშურისა და ქარელის გუნდებს შორის, მაგრამ როცა მიწყდა ზურნის ხმა და მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები, აღმოჩნდა, რომ ამ შეჯიბრებისათვის ყველაზე უკეთ მომზადებული იყვნენ ხაშურელი სპორტსმენები, რომლებმაც მოიპოვეს კიდევაც პირველი ადგილი. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ: გ. ნოზაძე (ხაშური), ლ. კაციაშვილი, გ. ნავროზაშვილი (ორივე კასპიდან), გ. მაჭარაშვილი (ქარელი), შ. გულიაშვილი (კასპი), მ. კულიჯანოვი (ხაშური), ვ. მარიამიძე (კასპი).

ფრენბურთელთა ფინალურ შეხვედრებში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის გაიმარჯვეს ბორჯომელმა სპორტსმენებმა, სამაგიეროდ, ორი პირველი ადგილი გაინაღდეს ახალციხელებმა კალათბურთში, სადაც ვაჟებმა ფინალში სძლიეს ხაშურის, ხოლო ქალებმა — ბორჯომის გუნდებს. ახალციხელებს დარჩათ გამარჯვება ფეხბურთშიც, რომლებმაც დიდი ანგარიშით 6:1 დაამარცხეს ქარელის გუნდი.

საინტერესო და დაძაბული იყო შტანგისტთა შეხვედრები, სადაც თავი ისახელეს ახალციხელებმა, მათ შვიდიდან ექვსი პირველი ადგილი მოიპოვეს და გუნდური პირველობა მოუტანეს თავიანთ კოლექტივს.. ამ შეჯიბრებაში ბორჯომის რაიონის შტანგისტებმა გაინაღდეს მეორე ადგილი.

33 ველოსიპედისტი ამაოდ დაშვრა — ვერცერთმა მათგანმა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, ვერ შეასრულა ჩასათვლელი მესამე თანრიგის ნორმატივი, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სპორტის ამ საინტერესო სახეობას ჯერ კიდევ არასათანადო ყურადღება ეთმობა ადგილებზე.

„ოქროს ჩათვლა" მისცა თავის რაიონის კოლექტივს ბორჯომელმა ა. გელაშვილმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში მონაწილე 45 სპორტსმენში მხოლოდ მან შეძლო 100 შესაძლებლიდან 88 ქულის მოგროვება და მესამე თანრიგის შესრულება. მძლეოსანთა შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა: ახალციხე, ბორჯომი და გორი.

ტანმოვარჯიშეთა ტურნირში სულ 4 კოლექტივი მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გამოვიდა ახალციხის რაიონი.

კომპლექსურ ჩათვლაში ზონალურ სპარტაკიადაში გაიმარჯვეს ახალციხის რაიონის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ბორჯომისა და ხაშურის რაიონები.

**ო. გელაშვილი,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

◆

### დაიკავეს შვიდი პირველი ადგილი

დამთავრდა სარაიონთაშორისო ზონალური სპარტაკიადა, რომელიც მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში მიმდინარეობდა.

მძლეოსნობა მონაწილეთა მხრივ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. — 8 რაიონიდან მონაწილეობდა 88 სპორტსმენი.

გუნდური ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: ტყიბული, წყალტუბო, ონი და ა. შ.

ტანვარჯიშში სრული გუნდის გამოყვანა მხოლოდ ტყიბულის რაიონმა შეძლო, რომელმაც დაიკავა კიდეც პირველი ადგილი.

დაბალი შედეგებით აღინიშნა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. პროგრამაში იყო 50 მეტრზე წოლელა მდგომარეობიდან № 7 სამიზნეზე 10 ჩასათვლელი გასროლა. 40 მონაწილიდან მხოლოდ სამმა შეძლო სათანრიგო ქულების მოგროვება. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ონმა, მეორეზეა ამბროლაური, ხოლო მესამეზე — ტყიბული.

სპარტაკიადაზე კარგად მომზადებული გამოვიდნენ ტყიბულის რაიონის სპორტსმენები, რომლებმაც ცხრა სახეობიდან შვიდში პირველი ადგილი დაიკავეს და დამსახურებულად გახდნენ სარაიონთაშორისო ზონალური სპარტაკიადის ჩემპიონები, მეორე ადგილზეა ამბროლაურის რაიონის გუნდი.

**ვ. ხომერიკი**

### ცხრა გუნდში გამარჯვებული

დამთავრდა თელავის ზონალური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ 9 რაიონის ნაკრები გუნდები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მძლეოსნობაში ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეასრულა II თანრიგის ნორმა, ხოლო სროლაში მხოლოდ თელავის გუნდმა შეასრულა სათანრიგო ნორმები და დაისაკუთრა პირველი ადგილი.

თელავის სპორტულ კოლექტივს წილად ხვდა საერთო პირველი ადგილი და ზონალური სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება.

**ი. ხაბეიშვილი**



# „ბ“ კლასში

## კანონიერი დამარცხება

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 5 ივნისი.

სკვო (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი) — 0:2 (0:1).

„სპარტაკი“: ზატიკიანი; ხაჩმანუკიანი, ამბარცუმიანი, სემერჯიანი; გავლაკიანი, ვარდანიანი, ბაბაიანი, მანტარლიანი, ანტონიანი, ბეგლარიანი, ოვივიანი.

სკვო: ჭანტურია; გრიშინი, გაიხარაშვილი, ჭანჭალეიშვილი; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე, გვიმრაძე (დალაქიანი), კურტანიძე, ივანოვი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

არმიელები დიდი დანაკლისით გამოვიდნენ მინდორზე: არ თამაშობდა გუნდის მთავარი „ბომბარდირი“ გორეშნევი და ეს დანაკლისი საბედისწერო აღმოჩნდა, ვინაიდან თავდასხმაში არ იყო თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც შეეძლო დაემთავრებინა კომბინაცია, ან რეალური ხიფათი შეექმნა „სპარტაკის“ კართან.

არ შეიძლება ითქვას, რომ თბილისელებმა ცუდად ჩაატარეს შეხვედრა. პირიქით, ტერიტორიული უპირატესობა ძირითადად მათ მხარეს იყო, მაგრამ ერევნელები უკეთ ჩაერკვნენ მატჩის „წვრილმან“ მხარეებში.

„სპარტაკის“ ყველაზე შედეგიან ფორვარდს ამჟამად წარმოადგენს მარცხენა გარემარბი ოვივიანი, მაგრამ როგორც კი წააწყდა იგი გრიშინის შეუპოვარ წინააღმდეგობას, მან გადაინაცვლა მარჯვენა ფრთაზე, მოძებნა სუსტი ადგილი ჭანჭალეიშვილის სახით და გადამწყვეტი როლი შეასრულა თავისი გუნდის გამარჯვებაში. ჭანჭალეიშვილმა ამ დღეს ძალზე სუსტად ითამაშა და სისტემატურად აგებდა ბრძოლას მოწინააღმდეგესთან, ამიტომ საჭირო იყო გრიშინი თან წაჰყოლოდა ოვივიანს და ბოლომდე ჩაკეტილი ჰყოლოდა იგი.

ეს საჭირო გადანაცვლება არმიელებმა არ გააკეთეს, სამაგიეროდ მათ მოახდინეს სხვა ცვლილება, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა თამაშის ლოგიკურ მსვლელობას და სავსებით გაუმართლებელი აღმოჩნდა. პირველსავე წუთებიდან ცხადი იყო მიქაძის უპირატესობა სისწრაფეში სემერჯიანთან და თბილისელებს სწორედ ეს უპირატესობა უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ ამის ნაცვლად მათ მიქაძე გადაიყვანეს ცენტრში და სრულიად მოუსპეს მას სწრაფი გარღვევების საშუალება. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი... ერევნელთათვის.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თბილისელთა კაპიტნის კურტანიძის უაღრესად სუსტ, პასიურ თამაშს. მან არავითარი ინიციატივა არ გამოიჩინა გუნდის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის და როგორც მოთამაშე და როგორც კაპიტანი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა. იგივე ითქმის ივანოვზეც.

„სპარტაკმა“ ყოველ ტაიმში გაიტანა თითო ბურთი (შევლაჩიანი, ოვივიანი) და მოიპოვა გამარჯვება — 2:0.

**რ. ჭორიძე**

## მონდომებული თამაშით

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) - „ყუბანი“ (კრასნოდარი) — 2:0 (1:0).

„ყუბანი“: ტიტოვი; ნიკიტინი, ბოსოვი, ბულიგინი; ბაგაპოვი, იგნატოვი; ზიბროვი, კოსტილევი, გორინი (გალიაპინი) შინკარიოვი, გალოიანი.

„ტორპედო“: მერაბიშვილი; კვახაძე, გიგავა, კერესელიძე; სორდია, ანთიძე; ლეჟავა, ჟორდანია, ზუხბაია, გომელაური, ხურდინი (სარჯველაძე).

მსაჯი: ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

ტორპედოელებმა ამ მატჩისათვის საგრძნობლად შეცვალეს შემადგენლობა და უნდა ითქვას, გუნდი სრული მონდომებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. გუნდი ფაქტიურად ორი ცენტრალური მცველით თამაშობდა და აქ გიგავამ გაამართლა მოლოდინი. თავდასხმაში კვლავ გამოირჩეოდა ენერგიული გომელაური, რომელიც თითქმის ყველა კომბინაციაში მონაწილეობდა და ორივე გატანილი გოლის თანაავტორი იყო.

შუა ტაიმში სტუმრებს სახიფათო შეტევა ჰქონდათ, მაგრამ ზიბროვმა ვერ გამოიყენა კარგი მომენტი. მალე მათ მხარეს დანიშნულ იქნა საჯარიმო, გომელაურმა ზუსტად მიაწოდა ბურთი მოწინააღმდეგის კართან და ლეჟავამ გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ტაიმი დაიწყო ტორპედოელთა მძლავრი იერიშით, რომელშიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა ორივე ნახევარმცველი. „ყუბანის“ მეკარე ტიტოვმა ზედიზედ აიღო რამდენიმე ძნელი ბურთი, მათგან ერთი ზუხბაიასაგან, რომელიც პირისპირ იყო მეკარესთან დარჩენილი.

82-ე წუთზე მასპინძლებმა გაითამაშეს მრავალსვლიანი კომბინაცია: სორდია-ჟორდანია-გომელაური-ლეჟავა და ამ უკანასკნელმა შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება. 2:0.

განვლილმა მატჩმა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ცხადყო, რომ ქუთაისის „ტორპედო“ ბრძოლისუნარიანი, ენერგიული კოლექტივია და გუნდმა ასე უნდა ჩაატაროს მომდევნო შეხვედრები.

**ლ. ფაჩუაშვილი**

• • •

**სურათზე:** კრასნოდარელთა მეკარემ ტიტოვმა გაუშვა ბურთი.

## შეტევა და შედეგი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 4 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შირაქი“ (ლენინაკანი)— 1:1 (0:1).

„შირაქი“: ისრაელიანი; მათევოსიანი, კირაკოსიანი, სემერჯიანი; ასლანიანი, ავეტისიანი; ხაჩიკიანი, აბრამიანი, ბოიაჯიანი, არუთინიანი, პოღოსიანი.

„ლოკომოტივი“: რუხაძე; გაგუა, კუჭავა, სიჭინავა; დარახველიძე, მუმლაძე; იაშვილი, ჩიჩუა, კახიანი (ხაზარაძე), ცერცვაძე, ცაგარეიშვილი.

მსაჯი ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

„ბ“ კლასის IV ზონის გათამაშებაში გასულ წელს ლენინაკანის „შირაქმა“ დაიკავა ერთ-ერთი უკანასკნელი, მე-14 ადგილი. წელს ლენინაკანელები გაცილებით უკეთესად თამაშობენ. მათს რიგებს შეემატა რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე ერევნიდან, გუნდი განმტკიცდა, გაძლიერდა და მიმდინარე სეზონში მოიპოვა რამდენიმე სერიოზული წარმატება.

განვლილ მატჩში თბილისის „ლოკომოტივთან“ ისევე, როგორც სკვო-სთან, სტუმრებმა აჩვენეს ენერგიული, მონდომებული თამაში, კარგი ურთიერთობა რგოლებს შორის და ნამდვილი თავგამოდება დაცვაში. ყოველთვის, როგორც კი მათ კართან იქმნებოდა სახიფათო ვითარება, ორივე შუამარბი იწევდა უკან და საჯარიმო მოედანთან აღმართული იყო კედელი, რომლის გარღვევა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

მატჩის მსვლელობაში ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ. მათი შეტევა დროდადრო შტურმის ხასიათს ატარებდა, მაგრამ თავდამსხმელები პასიურობდნენ, უშუალოდ კარის სიახლოვეს ერიდებოდნენ ძალისმიერ ბრძოლას და, რაც მთავარია, თითქმის სრულიად არ ურტყამდნენ კარში. ჩიჩუასი და მუმლაძის გარდა არავინ ცდილობდა პარტნიორის ან საკუთარი თავისთვის შეექმნა მომენტი, საიდანაც შეიძლებოდა კარში დარტყმა და ამიტომ იყო, რომ მეკარე ისრაელიანს მეტი შიში გადახდა, ვიდრე ნამდვილი სამუშაო.

ანგარიში გახსნეს სტუმრებმა. „ლოკომოტივის“ მცველი გაგუა დაეცა საჯარიმო მოედანზე და ხელით დაიჭირა ბურთი, რისთვისაც სამართლიანად იქნა დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო. იგი ზუსტად გამოიყენა არუთინიანმა — 1:0.

ეს მოხდა პირველ ტაიმში. მთელი დანარჩენი დრო „ლოკომოტივმა“ მოანდომა ამ გოლის გაქვითვას და, ბოლოს, მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, ცაგარეიშვილი დრიბლინგით გავიდა რამდენიმე მცველს შორის, მიაწოდა ცენტრში და ხაზარაძემ გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1. ერთი წუთის შემდეგ იმავე ხაზარაძემ კარგად შეარჩია თავისუფალი ადგილი და დაარტყა კარში, მაგრამ უძლიერესი ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს.

**ი. გუდავაძე**

## საქართველოს პირველობა

**გათამაშების ცხრილი**

7 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „განთ.“ ფოთი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:4 | 12 |
| „ლოკ.“ სამტრ. | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 10 |
| „მეტ.“ რუსთ. | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | 10 |
| „დინამო“ ბათ. | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 9 |
| ფიზკ. ინს. თბ. | 5 | 4 | 0 | 1 | 10:7 | 8 |
| „კოლმ.“ ლანჩ. | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| „იმერ.“ ქუთ. | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 7 |
| „კოლმ.“ მახ. | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 6 |
| „დინამო“ ქუთ. | 6 | 2 | 2 | 2 | 6:10 | 6 |
| „სპარტ.“ სტ. | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 5 |
| ტრანს. სამმრთ. თბილისი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 4 |
| „დინამო“ სოხ. | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 3 |
| 26 კომ. სახ. რ. თბილისი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 3 |
| „სპარტ.“ ცხაკ. | 6 | 1 | 1 | 4 | 8:15 | 3 |
| „შახტ.“ ტყიბ. | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 2 |
| „სხივი“ რუსთ. | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |
| „მაღ.“ ჭიათ. | 6 | 1 | 0 | 5 | 6:12 | 2 |
| „კოლმ.“ ქობ. | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

## რომ ბავშვებმა აქტიურად დაისვენონ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით 1959 წლის ზაფხულში ქალაქგარე პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად გაიგზავნება 30.000 მოსწავლე, ხოლო გამაჯანსაღებელ-ტურისტულ ბანაკებში — 2.000 მოსწავლე.

ზაფხულის არდადეგებზე პიონერების, სკოლის მოსწავლეებისა და „შრომითი რეზერვების“ სასწავლებლების მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებათა უკეთ ორგანიზაციის მიზნით სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკური კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: ჩატარდეს სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ზაფხულის პერიოდში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ორგანიზაციისათვის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, დახმარება გაეწიოს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, განათლების განყოფილებებსა და „შრომითი რეზერვების“ სამმართველოს ქალაქგარე პიონერთა ბანაკებში სამუშაოდ ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელების შერჩევისა და მათთვის სემინარების ჩატარების საქმეში, დაზუსტდეს პიონერთა ბანაკები, სადაც არსებობს წყალსაცავები, შეირჩეს ინსტრუქტორები ცურვაში, დახმარება გაეწიოს პიონერთა ბანაკების უფროსებსა და პიონერხელმძღვანელებს სემინარების ჩატარებაში პიონერთა შორის ფიზკულტურული მუშაობის საკითხებზე.

პრეზიდიუმმა საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეებს დაავალა ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მოსთხოვონ ქალაქგარე პიონერთა ბანაკებში მომუშავე ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელებს, რათა ჩააბან ბანაკებში მყოფი ყველა პიონერი და მოსწავლე ყოველდღიურ მეცადინეობაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში და უზრუნველყონ მათთან გამაჯანსაღებელი მთლიანი კომპლექსის ჩატარება (დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ტანის დაზელვა სველი ტილოთი, ჰაერისა და მზის აბაზანები). უზრუნველყონ პიონერებისა და მოსწავლეთა მომზადება „ნორჩი“ პიონერის საფეხურის“ მოთხოვნების ათვისებისათვის და ამის საფუძველზე იმათ კომპლექსის ჩაბარება; ორგანიზაცია გაუკეთონ აღნიშნული სამუშაოს ჩატარებას ყოველ რგოლსა და რაზმში, შეასწავლონ ცურვა პიონერებსა და მოსწავლეებს, ყოველ წყებაში გამართონ სპორტული შეჯიბრებები პიონერულ მრავალჭიდში, ღია სტარტი, შიდასაბანაკო სპარტაკიადა, სპორტის სახეობათა მიხედვით ჩამოაყალიბონ გუნდები და მოაწყონ სხვა ბანაკების გუნდებთან სპორტული შეხვედრები, სისტემატურად ჩაატარონ ტურისტული გასვლები, ექსკურსიები, თამაშები ადგილმდებარეობაზე. სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციისათვის მოიწვიონ სპორტსმენები, სპორტის ოსტატები და ბავშვთა სპორტსკოლების მოსწავლეები; ორგანიზაცია გაუკეთონ ბანაკში სპორტული იარაღებისა და ხელსაწყოების დამზადებას, ყურადღება მიაქციონ ფიზიკური აღზრდის სამეცადინო ადგილების მოვლა-პატრონობას; საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეებს დაევალათ აგრეთვე ქალაქად განლაგებული პიონერთა ბანაკებისა და სახლმმართველობებთან ჩამოყალიბებული გუნდების მიმაგრება არსებულ სპორტულ ბაზებზე, რომლებიც დღის საათებში სამეცადინოდ უფასოდაა დათმობილი და ა. შ.

სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ პიონერული და კომკავშირული ახალგაზრდობის ბანაკებს, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს სპორტული მუშაობის წარმართვის საქმეში, შეჯიბრებათა და სპორტული გამოსვლების ორგანიზაციაში, საჭირო სპორტული ინვენტარის გამოყოფაში; მიავლინონ აღნიშნულ ბანაკებში სპორტსმენები, სპორტის ოსტატები და ბავშვთა სასპორტო სკოლების მოსწავლეები.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა რჩევა მისცა დიდ სპორტულ ნაგებობათა დირექტორებს, რათა მათ თავიანთ ბაზაზე ჩამოაყალიბონ საქალაქო პიონერთა ბანაკები, თხოვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებებს მითითება მისცენ სკოლის დირექტორებს მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავლისას სავალდებულო გახადონ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მეცადინეობების ჩატარება, სკოლები უზრუნველყონ მშთ კომპლექსის ჩასათვლელი წიგნაკებით ყველა მოსწავლეზე გასაცემად, ჩამოაყალიბონ ბავშვთა სპორტ-სკოლების მოსწავლეებისათვის სპორტული ბანაკები პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ შექმნილი ბანაკების ტიპის მიხედვით, გაუთანაბრონ ისინი VIII-X კლასების მოსწავლეთა გამაჯანსაღებელი ბანაკების პირობებს, რომლებშიც სპორტული მუშაობა შეუხამონ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, მოაწყონ უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის ტურისტული ბანაკები თვითმომსახურეობის საფუძველზე.

# ასეთი ხვედრი აქვს...

გაზეთი „იუმანიტე“ წერს: „საფრანგეთის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი უფულობის გამო ვერ გაემგზავრა ჩილის დედაქალაქ სანტიაგოში მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო საფრანგეთის კალათბურთელი ქალები ოქტომბერში ვერ წავლენ მსოფლიო პირველობაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება, ვინაიდან ფედერაციას არ გააჩნია საჭირო თანხები“.

გაზეთი კითხვით მიმართავს ფედერაციის ხელმძღვანელებს: „რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ?“

ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ.

ან რა უნდა თქვან?! ასეთი ხვედრი აქვს დასავლეთში სპორტის სახეობას თუ მას ვინმე ჯიბესქელი მეცენატი არ მფარველობს. უამისოდ ფედერაციის თანხები მხოლოდ და მხოლოდ ფრანგ კალათბურთელ ვაჟთა გუნდის სტამბოლში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას მოხმარდა.

# კალეიდოსკოპი

ფეხბურთში საფრანგეთის თასის გათამაშების ფინალურ მატჩზე რესპუბლიკის პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის დასწრება გაზეთების მითქმა-მოთქმისა და ათასგვარი ირონიული შენიშვნის საგნად იქცა.

ეს მატჩი გაიმართა პარიზში, 3 მაისს, „ჰავრისა“ და „სოშოს“ გუნდებს შორის. მრავალრიცხოვანი ამალითა და პოლიციით გარშემორტყმულ, კორესპონდენტებისა და ფოტორეპორტიორებისაგან რაც შეიძლება საფუძვლიანად „გამხოლოებულ“ გენერალს მოუხდა ორჯერ 45 წუთი ეთვალთვალა მოედანზე გამართული ბრძოლისათვის, შემდეგ კიდევ ორჯერ 15 წუთი (დამატებითი დრო) და მაინც უშედეგოდ...

ამ მრავალწერტილს კომენტარს უკეთებს გაზეთი „იუმანიტე“. იგი თავის ფურცელზე ათავსებს ორ ფოტოსურათს, რომელთაგან ერთი ინგლისის თასის ფინალური შეხვედრის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენს (ინგლისის დედოფალი ელისაბედი სრულიად უბრალოდ, ყოველგვარი ამალის გარეშე, ჩვეულებრივი „მოკვდავის“ ღიმილით გადასცემს თასს გამარჯვებული გუნდის — „ნოტინჰემის“ კაპიტანს), ხოლო მეორე — საფრანგეთის თასის ფინალური შეხვედრის „დაუმთავრებელ“ სურათს, რომელსაც აწერია: „სამწუხარო კვირადღე იყო „ჩემი პრეზიდენტისათვის“. არავინ არ მიისწრაფოდა მისკენ, ორ წყებად ჩამწკრივებულ პოლიციელთა რიგებს შორის, ნადავლის — თასის მისაღებად“... თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

მაგრამ ეს ინციდენტი უფრო მსუბუქი ირონიის საფუძველს წარმოადგენს, ვიდრე მეორე — უფრო მნიშვნელოვანი, რომელმაც ფრანგი სპორტის მოყვარულნი მწარედ დააფიქრა ხელისუფალთა მიერ სპორტის უგულებელყოფის თაობაზე, ფაქტზე, რომელიც ამავე დროს შუქს ჰფენს მის განმსაზღვრელ სოციალ-პოლიტიკურ საფუძვლებს.

საქმე შემდეგშია: საფრანგეთის დედაქალაქი კარგა ხანია მწვავედ განიცდის თანამედროვე, კეთილმოწყობილი სტადიონის უქონლობას. ის მოძველებული, პირქუში და ულიმღამო სტადიონები, რომლებზეც ამჟამად საფრანგეთის ფეხბურთელთა და მძლეოსანთა შეხვედრები იმართება, იოტის ოდენადაც ვერ აკმაყოფილებს ვერც პარიზელ მაყურებლებსა და ვერც პარიზის სპორტის მოთხოვნილებებს. ზემოაღნიშნული ფინალური მატჩის დროს, პრეზიდენტის ლოჟაში საუბარი სწორედ ამ საკითხს შეხებია. საფრანგეთის სპორტის ერთ-ერთმა მესვეურმა მოახერხა დე გოლისათვის „შეეპარებინა“ თხოვნა პარიზში ახალი სტადიონის აგების შესახებ, რაზეც გენერალმა ორჭოფულად უპასუხა: „შესაძლებელია...“.

„შესაძლებელია“ — ეს ერთობ ბუნდოვანი, განუსაზღვრელი და შორეულია!..“ — წერს „იუმანიტე“, — „და რაკი გენერალმა თქვა „შესაძლებელია“, ეს ნიშნავს, რომ „შესაძლებელია“ მის მეგობარს — პინეს სახსრები არ ეყოფა ამ პატარა საქმის მოგვარებისათვის“.

პრეზიდენტის ლოჟაში ამ დროს მართლაც იმყოფებოდა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი პინე და იგი, მართლაც, ახალი სტადიონის მშენებლობის წინააღმდეგი იყო, როცა შეიტყო, თუ რა თანხა იყო საჭირო მისი აგებისათვის.

—ცხრა მილიარდი? ბევრია! — მოკლედ და შეუვალად თქვა მინისტრმა.

„რაკი ასეა, — ეხმება პოლემიკაში „იუმანიტეს“ სპორტული მიმომხილველი, — ნება მომეცით, ჩემო გენერალო, მეტისმეტი მოწიწებით მოგცეთ რჩევა: ეს დიდი სტადიონი 100 ათასი მაყურებლისათვის აუცილებელია საფრანგეთისათვის, მისი სპორტის დიდებისათვის და თუმცა იგი ფინანსთა მინისტრს ეძვირება, თქვენთვის, ჩემო გენერალო, სამხედროსათვის, აღნიშნული თანხა არარაობას წარმოადგენს. რას წარმოადგენს იგი? მხოლოდ სამი დღის ომის საფასურს ალჟირში. დიახ, ზუსტად სამი დღისა“.

გაზეთს მოყავს რამდენიმე მრავლისმეტყველი ფაქტი, რომლებიც ცხადყოფენ, თუ რა უაზროდ ნიავდება მილიარდობით ფრანგული ფრანკი ალჟირის კოლონიალურ ომში და ასკვნის:

„ანგარიში გაუწიეთ ყოველივე ამას, ჩემო გენერალო, და წარმოიდგინეთ, რამდენად უფრო დიადი და ლამაზი იქნებოდა სპორტული საფრანგეთი, რომ ალჟირში ომი შეჩერდებოდეს! ამის შედეგად აიგებოდა სტადიონები, საცურაო აუზები, რაც, ცხადია, სულაც არ აწუხებს ბ-ნ პინეს..., ასობით სტადიონი, სპორტული დარბაზი, საცურაო აუზები!.. და შემდეგ მათს საზეიმო გახსნაზე ჩამოვიყვანდით 450.000 ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე ალჟირელს..., ხომ ხედავთ, ძნელი არ ყოფილა დღევანდელი „შესაძლებელია“ ხვალინდელ სინამდვილედ, უთუო რწმენად გადავაქციოთ“.

სპორტული საფრანგეთი ელის სპორტულ ბაზებს. პროგრესული საფრანგეთი ელის ალჟირში ომის შეწყვეტას და მშვიდობას. და ყოველივე ამის პასუხად მას ესმის გაურკვეველი, ბუნდოვანი, შორეული „შესაძლებელია“...

ა. მირნელი

# გოლები გააქვთ უცხოელებს

დასასრულს უახლოვდება იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში. მთელი ჩემპიონატის მანძილზე ბრძოლა პირველი ადგილისათვის მიმდინარეობდა „მილანს“, „ფიორენტინას“, „ინტერნაციონალესა“ და გასული წლის ჩემპიონის „იუვენტუსის“ შორის, მაგრამ უკანასკნელ ტურებში „იუვენტუსმა“ და „ინტერნაციონალემ“ ფაქტიურად დაკარგეს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსები.

დარჩენილმა ხუთმა ტურმა უნდა გამოარკვიოს ვინ იქნება ჩემპიონი. „მილანი“ თუ „ფიორენტინა“. ამჟამად „მილანს“ 44 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს მეტოქეს.

ისევე, როგორც გასულ წლებში, ყველა წამყვან გუნდში გადამწყვეტ როლს უცხოელები ასრულებენ. „მილანის“ კაპიტანია ცნობილი შვედი ფეხბურთელი ლიედჰოლმი, აქვე თამაშობენ სკიაფინო (ურუგვაი), გრილიო (არგენტინა) და მაცოლა (ბრაზილია). „ფიორენტინას“ თავდასხმაში ჰყავს შვედი ჰამრინი და არგენტინელი მონტუორი, „ინტერნაციონალეს“ — ანჯელილო (არგენტინა), შვედები ლინდსკოგი და სკოგლუნდი, „იუვენტუსს“ — ვალიელი ცენტრფორვარდი ჩარლზი და არგენტინელი — სივორი.

ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელების სია უხცოელთა გვარებითაა აჭრელებული. 31 ბურთი გაიტანა ანჯელილომ, მეორე ადგილზეა მაცოლა — 28 ბურთი, მესამეზე — ჰამრინი — 23 ბურთი, მეოთხეზე — მონტუორი — 22 ბურთი, მეხუთეზე 18 ბურთით — ფირმანი (არგენტინა).

რედაქტორი ი. უგულავა

ა. ცამციშვილი

# „კომეტა“

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ყველა ფორმალობა აღსრულებულ იქნა, მაგრამ ხელისუფლების ორგანოები არ ცხრებოდნენ. 1907 წლის 26 თებერვალს, თანახმად გუბერნატორის ბრძანებისა, ოფიციალური მიმართვით წრის თავმჯდომარეს მოთხოვეს 10 დღის განმავლობაში თბილისის გუბერნიის სამმართველოში წარედგინა „კომეტის“ 1907–08 წლების სამოქმედო გეგმა.

10 მარტს სასწრაფოდ მოიწვიეს წრის პირველი საერთო კრება, რომელზეც წრის კომიტეტი აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ა. ა. ელზენგერი, კაპიტანი ო. ა. გეინე, ვიცე-კაპიტანი თ. მ. კორტუმი, მდივანი ა. კ. გააზე და კომიტეტის წევრები ი. დ. ზახაროვი და ვ. ი. ფრეი. წრემ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, სავარჯიშოდ და სათამაშოდ გამოჰყვეს დღეები.

1907 წელს „კომეტის“ კომიტეტი 5-ჯერ შეიკრიბა და თავის სხდომებზე საბოლოოდ შეიმუშავა, ხოლო შემდეგ ცალკეული ბროშურების სახით გამოსცა კიდეც ფეხბურთის თამაშის წესები და ინსტრუქციები მოთამაშეთათვის. მიუხედავად იმისა, რომ წესდების მე-7 მუხლი კრძალავდა სპორტის ამ ახალ სახეობაში მოსწავლეთა ჩაბმას, კომიტეტმა გადაწყვიტა თბილისელი მოსწავლე ახალგაზრდობა მოეზიდა, უფრო მასობრივი ხასიათი მიეცა ფეხბურთისათვის.

მიღებულმა ღონისძიებებმა მცირე, მაგრამ მაინც სასურველი შედეგი გამოიღო. ფეხბურთელთა წრეში 1908 წლის პირველი იანვრისათვის 22 კაცი ირიცხებოდა. ამავე წლის 29 თებერვალს შედგა ფეხბურთელთა საერთო კრება, სადაც საანგარიშო მოხსენების შემდეგ განიხილეს მიმდინარე საკითხები: ახალი მუდმივი სათამაშო მოედნის გამონახვის შესახებ ქალაქის ცენტრის სიხალოვეს, საწევრო ანარიცხების შესახებ და სხვა. მხედველობაში მიიღეს რა ფინანსური სივიწროვე (1907 წელს შემოსავალი 166 მანეთითა და 56 კაპიკით განისაზღვრებოდა, გასავალი კი 134 მანეთი და 41 კაპიკი) საერთო კრებამ წრის კომიტეტს დაავალა გამოენახა სახსრების ახალი წყაროები (სპექტაკლის ან საჯარო მატჩის მოწყობის გზით).

მრავალი ღონისძიების, გულმოდგინებისა და ცდის მიუხედავად „კომეტის“ მოღვაწეობა მეტად შეზღუდული და პრიმიტიული იყო. დიდი საწევრო გამოსაღები „კომეტას“ ფაქტიურად კარჩაკეტილ ორგანიზაციად აქცევდა, მით უმეტეს ადგილობრივ ძცხოვრებლებისათვის.

„კომეტამ“ ხალხში ვერ გაიდგა ფესვები და ვერ შეძლო სპორტის მოყვარულთა მიზიდვა იმიტომაც, რომ 1906–08 წლებში თბილისში მხოლოდ ეს ერთადერთი გუნდი არსებობდა და არა ჰქონდა შეჯიბრების ან სპორტული ბრძოლის საჯარო დემონსტრირების საშუალება. აი რას წერს 1908 წლის ჟურნალი „სპორტი“:

„უნდა გამოვთქვათ სინანული, რომ ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“ არ აყალიბებს თავის ფეხბურთელთა გუნდს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა „სოკოლისა“ და „კომეტას“ გუნდებს შორის მატჩის მოწყობა. ასეთი საჯარო შეჯიბრება საგრძნობლად გაზრდიდა თბილისელ საზოგადოებაში სპორტისადმი ინტერესს და კერძოდ, ამ მიმზიდველ და სასარგებლო თამაშისადმი, რაც დაუყოვნებლივ მოახდენდა ზეგავლენას ახალი მოთამაშეების მიზიდვაზე“.

ამრიგად, მიგნებული, შესწავლილი, ძველად და ამჟამად გამოქვეყნებული დოკუმენტური და ბეჭდვითი მასალების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფეხბურთის ისტორია საქართველოში 1894 წლიდან იწყება, იმ დროიდან, როცა ბათუმელ ლელობურთელებს ინგლისელი მეზღვაურები ჩაერივნენ და ფეხბურთ-ლელობურთი გაჩაღდა. რომ თბილისში ფეხბურთის თამაში „სოკოლმა“ 1906 წელს დაიწყო და ამავე წლის ივნისში ველოტრეკზე არაოფიციალური გუნდიც ჩამოყალიბდა. რომ ფეხბურთის თამაში ქალაქის ფარგლებში ხელისუფლებამ ოფიციალურად დაუშვა და ფეხბურთელთა პირველი გუნდი „კომეტა“ იურიდიულად გააფორმა 1907 წლის 23 თებერვალს. რომ პირველი ოფიციალური საჯარო საჩვენებელი მატჩი მოეწყო 1909 წლის 22 ოქტომბერს ქ. ქუთაისში კაზაკთა სასანგრო პოლკის მინდორზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის I და II ვაჟთა გიმნაზიების ფეხბურთელები, რომლებიც ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ქუთაისსა და მერე გელათმოწამეთაში, რომ პირველი ოფიციალური შეჯიბრება თბილისში შედგა 1911 წელს 21 ოქტომბერს „სოკოლისა“ და ქალაქის მოსწავლეთა ნაკრებს შორის. დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი საერთაშორისო ოფიციალური მატჩი თბილისში შედგა 1912 წლის 26 მარტს თბილისის „სოკოლისა“ და ბაქოში არსებული ინგლისელთა ფეხბურთის კლუბის გუნდებს შორის.

ასეთია ის ფაქტები, რომლებიც თბილისში ფეხბურთის ჩასახვის, გავრცელებისა და განვითარების პირველ ეტაპზე მეტყველებენ.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 64, 65, 66.

9 ივნისს
თბილისის განათლების განყ. - „ნორჩი დინამოელი“
„დინამო“ (რუმინეთი)- „დინამო“ (თბილისი)
10 ივნისს
განათლების განყ. II- „ნორჩი დინამოელი“
„დინამო“ (რუმინეთი)- თბილისის ნაკრები
12 ივნისს
განათლების განყ. I- „ნორჩი დინამოელი“
„დინამო“ (რუმინეთი)- თბილისის ნაკრები




საერთაშორისო მატჩი კალათბურთში
ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი
დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ცხაკაძის დამართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3 89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, გამომცემლის — 3-01-06.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02371